№ 90
ხუთშაბათი, 26 აპრილი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 90
ხუთშაბათი, 26 აპრილი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

მარიამ ნიკოლოზის ასული და კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფურცელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფელს მერეთში, პირველი დედისა, ხოლო მეორე სიდედრის

ეკატერინე გლახა ყიფიანის ასულის თურქესტანოვისას.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება ყოველ დღე, დილით და საღამოთი, ხოლო დასაფლავება მოხდება სოფელ მერეთში, შაბათს, 28 აპრილს. (3—108—1)

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი ამით აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ამ წლის მაისის 26, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) 1900 წ. საზოგადოების მოქმედების ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება.

2) 1901 წ. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

3) მოხსენება საზოგადოების საჭიროებისათვის სახლის აშენების საქმის მდგომარეობის შესახებ.

და 4) სხვა-და-სხვა თხოვნები და წვრილმანი კითხვები. (3—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადასტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარნიზონის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

აპრილის 23—29-მდის ქუთაისში

ექიმი
ნიკო ერისთავი

მიიღებს ნერვების და შინაგან (გულის, სტომაქის, ფილტვების, ნაწლავების) ავადმყოფთ.

სევერნი ნომრები. (6—106—4)

გაზეთ „კავკაზ“-ში შემდეგია დაბეჭდილი:

„კვირას, 22 აპრილს, ბრბომ, რომელიც უმთავრესად ადგილობრივ ქარხნებისა, ზავოდებისა და სახელოსნოების მუშათაგან შესდგებოდა, უწესოებანი მოახდინა იარმუკაში. 300-დგან 400-მდე წესიერების დამრღვევმა, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ კვირა დღეს ამ ადგილს დიდი ხალხი აწყდება სავაჭროდ, სხვა-და-სხვა გზით სანოვაგის მყიდველებისა და მუშტრის სახელით სათითაოდ შეიკრიბა იარმუკის მოედანზედ. დილის მეთერთმეტე საათზედ ამ ბრბოს რამდენიმე კაცმა მანიფესტანტთა თავმოსაყრელად და ცნობის მოყვარეთა ყურადღების მისაქცევად ხმაურობა დაიწყეს, ხოლო შემდეგ, უკვე თავმოყრილთ,

ფელეტონი

პატარა სიმღერები

(1898—1900 წლ.)

III

მაშინ და ახლა

მაშინ, როცა მე ცრემლს ვღვრიდი,
კისკისებდა იგი ტკბილად...
ახლა ერგო მას ტირილი,
სიცილი-კი მე მხვდა წილად.
მაგრამ მაინც არ ვიცინი,
რომ ვუყურებ ბედით ჩაგრულს,
და ვით ყველა ტანჯულთ მიმართ,
მის მიმართაც ვგრძნობ სიბრალულს!

დუტუ მეგრელი

მგზავრის წერილები რომიდგან

III *)

სხვა გამოჩენილ ძველ რომაელების ნაშთთა შორის, რომელნიც იზიდავენ სწავლულების განსაკუთრებულს ყურადღებას, უნდა ჩავთვალოთ „ფორო რომანო“. ფორო რომანო, მდებარე კაპიტოლინოს და პალატინოს სერების ძირთა შუა, წარმოადგენდა ძველად დიდს მოედანს, შემორტყმულს ჰაობებით. ამ მოედანზედ გროვდებოდა რომაელთა ხალხი განსაკუთრებულ საქმეების გასარჩევად. რომაელ რესპუბლიკის მმართველნი და რომაელთა მეფენი ყოველთვის სცდილობდნენ გაემშვენიერებინათ ეს ადგილი, რის გამოც მათ ააგეს ისეთი სიმრავლე ძეგლებისა, ტაძრებისა და ქანდაკებათა, რომ დღეს არხეოლოგები ვერა თანხმდებიან ერთმანეთში ამ სიძველეების კლასიფიკაციის მხრივ. აქ, ფორო რომანოში, იკრიბებოდა რომაელთა სენატი, აქ იყო გამართული სახალხო სამსჯავრო და რომაელები მოუთხრობდნენ თავიანთ ფიქრსა და აზრს შეკრებილ საზოგადოებას, აქ გაჰქონდა ქება-ქუხილი კატონის და ციცერონის მჭერმეტყველებას, აქვე იყო გამოკიდული ციცერონის მოკვეთილი სისხლიანი თავი იმის შემდეგ, როდესაც ამ ადგილსავე ციცერონმა გაბედა თავის სიტყვაში გაკიცხვა ანტონიუსისა, რომლის ბრძანებით დასჯილ იქმნა სიკვდილით. ამ გვარი არა სასიამოვნო ციცერონული ბოლო ხშირად ელებოდათ იმ გამოჩენილ კაცთ, რომელთაც არა სურდათ ფლიდობა და სიარული მრუდე გზით.

ერთი უმთავრესი ძეგლთაგანი, ნაპოვნი ფორო რომანოს ნანგრევებში, არის ტაბულარიუმი, რომაელების რესპუბლიკის დროისა. ამ ტაბულარიუმში ინახებოდა ბრინჯაოს მაგიდები, რომლებზედაც ამოჭრილი იყო ხალხის კანონები და განცხადებანი.

სხვა შესანიშნავ შენობათა შორის რომაელთა ნაშთნი ეხლაც მოსჩანს. დავასახელებთ თაღების თვლებს სეპტიმიუსისა, კონსტანტინესი და ტიტულისას. ამ თაღების მოწყობილება თავისის გარდასაკიდებით და ხელოვნურ ქვების ჩართვით შეძლებას იძლევა უბოძოდ გადაუშვათ თაღი დიდ მანძილზედ. აგრეთვე ყურადღების ღირსია ხუროთ-მოძღვრების მხრივ ტაძრები ვესპასიანისა, სატურნისა და ვენერასი. ფორო რომანოს ისეთივე ბედი ეწვია, როგორიც რომაელების სხვა ნაშენებს: ცეცხლისა, ომებისა, მტრების შემოსევის და მიწის ძვრის გამო ყოველი ნაწილები ამ შენობებისა ნელნელა დაინგრა და დამარხულ იქმნა მიწაში. რადგან აღარაფერი მოსჩანდა ფორო რომანოს ადგილას შუა საუკუნეებში, რომის მცხოვრებლებმა გამართეს ზედ საქონლის ბაზარი. ბაზრის შემდეგ ეს ადგილი გადაქცეული იყო სანაგვეთ, სადაც ჰყრიდნენ რომის ყოველს უწმინდურებას. ამ მრავალ ცვლილების გამო დღეს არხეოლოგებს დასჭირდათ ხუთ საჟენზედ მოთხრა ამ ნაშთების აღმოსაჩენად. ამ ახალ მუშაობის შემდეგ გასუფთავებული და მოწმენდილი ფორო რომანო თავისის ძეგლებით წააგავს მშვენიერ სასაფლაოს, რომელიც მოგვითხრობს უწინდელ რომაელების სიკვდილს.

არა ნაკლებ ყურადღების ღირსია ხელოვნების მხრივ რომის მიდამოები, სადაც რომაელების სარდლები და მმართველნი, პომპეების და ლუკულუსების გვარად, გამდიდრებულნი მთელი მსოფლიოს ყვლეფით, აშენებდნენ საზაფხულო სასახლეებს და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მდიდრულ და თავისებურ მოწყობილებით. ამ სასახლეების ნანგრევები უფრო სპეციალურის ხასიათისაა, ამიტომ მივანებოთ თავი და გავყვეთ ყველაზედ შესანიშნავ და საყურადღებო „აპიურ“ გზას, რომელიც მიგვიყვანს ყველასათვის ცნობილ კატაკომბებში. თვით აპიური გზა, რომლის სიგრძე 208 ვერსს შეადგენს, შესანიშნავია ერთის მხრივ თავისის სიძველით, რადგან გაკეთებული იყო 312 წელს ქრისტ. დაბად. წინ, და, მეორეს მხრივ, თავისის მოწყობილობით, რადგან წარმოადგენს ნამდვილს გზატკეცილს, მოკენჭილს ვულკანიურ ბაზალტის ქვებით; ადგილები, სადაც გაყვანილია ეს გზა, ზოგან კლდიანი, ზოგან ჭაობიანი, ასე რომ მისი გაყვანა დიდ მუშაობასა და ხელოვნების ცოდნას მოითხოვდა. ამ აპიურ გზაზედ იმყოფება სასაფლაო სციპიონების საგვარეულოსი და ერთი პატარა ეკკლესია სახელად Domine, quo vadis, ე. ი. უფალო, სად მიხვალ. ამბობენ, ვითომც, პეტრე მოციქულმა, აღელვებულმა ქრისტიანების წამებით, დააპირა გასვლა რომიდგან; როდესაც პეტრე გასცილდა რომს და გაუდგა აპიურ გზას, მას გამოეცხადა იესო ქრისტე, პეტრე გაკვირვებული დაეკითხა ქრისტეს: „უფალო, სად მიხვალთ“ და ქრისტემ უპასუხა: „მივდივარ რომში მეორედ ჯვარზედ წამებისათვის“. შემკრთალი მოციქული მაშინვე დაბრუნდა რომში და ეწამა.

სამ ვერსის მანძილზედ რომის უკანასკნელ საზღვრიდგან ზემოდ აღწერილ აპიურს გზაზედ იმყოფება შესავალი „კალიქსტის“ კატაკომბებში, რომელთა შესახებაც მკითხველს იმდენი საიდუმლო ექნება გაგონილი. საზოგადოდ კატაკომბები წარმოადგენს ვიწრო გვირაბებს სხვა-და სხვა სიღრმეზედ დედამიწის ზედაპირიდგან; ეს სიღრმე არ უწევს 10 საჟენზედ მეტს. ამ გვარი ვიწრო გვირაბები, სიგანით ორთა შუა ზომით ნახევარ საჟენი და სიმაღლით 2

---

*) იხ. „ივერია“ № 87.

აბრეშუმის მატერიისაგან გაკეთებული წითელი ნიშანი ამართეს, და ასე ბრბო „დიდის მთავრის ნომრებიდგან“ იარმუკით გოლოვინის პროსპექტისაკენ გაემართა. პოლიციამ წინადადება მისცა ბრბოს,—დაშლილიყო, ამასთან ბოქაულის თანაშემწემ გედევანოვმა პოლიციელებთან ერთად ნიშნის წართმევაც მოისურვა, მაგრამ ამის საპასუხოდ ბრბომ ფარულად თან მოტანილი ჯოხები და თავ-კომბალები დაუშინა. ზოგმა ამ ბრბოდგან ხანჯლებიცკი ამოიღო. თუმცა რიცხვით ბრბო ბევრადა სჭარბობდა პოლიციას, ამ უკანასკნელმა მაინც შესძლო იქვე ნიშნის აგლეჯა და წართმევა. აღელვებულმა ბრბომ მოიწადინა წინ წასვლა, ამასთან იგი მიათრევდა ცემისაგან გულს-შემოყრილს გედევანოვს და განაგრძობდა ცხარე ბრძოლას პოლიციასთან. იარმუკაში თავიანთ საქმისათვის მყოფი სხვა-და-სხვა რაზმის ჯარის-კაცები და მრავალი ადგილობრივ მცხოვრებთაგანი, რომელთაც, დაინახეს რა პოლიციელთა გაჭირვებული მდგომარეობა, ნება-ყოფლობით დასებად შეერთდნენ და მხნედ მიეშველნენ პოლიციას. ამის შემდეგ საერთო არეულობა მოხდა, რომელსაც აუცილებელ შედეგად მოჰყვნენ დაშავებულნი როგორც ერთის, ისე მეორეს მხრივ. ამ დროს მანიფესტანტთა ბრბოდგან ექვსჯერ რევოლვერი გაისროლეს, ამასთან პოლიციელი კიტანცევი დაჭრილ იქმნა ორის ტყვიით თეძოსა და მხარში. პოლიციამ და ჯარის-კაცებმა საერთო მეცადინეობით ბრბო იქვე შეაჩერეს და წინ აღარ გაუშვეს. ამ დროს მოსულმა პოლიცმეისტერმა ცხენოსან პოლიციელთა და საპოლიციო დარაჯის ჩაფრების მეოხებით მოსპო არეულობა, დაიჭირა მთავარი დამნაშავენი და სრულიად გაჰფანტა ბრბო. ამავე დროსთვის იმ ადგილას, სადაც არეულობა მოხდა, მოვიდა ცხენით გუბერნატორი ჟანდარმებითურთ. გუბერნატორი ხელმძღვანელობდა წესიერების აღდგენის საქმეს. მოვიდნენ აგრეთვე, გუბერნატორის მიერ დაბარებულნი, კავკასიის საპიორთა 1 ბატალიონი და ხოპერთა რაზმის 30 ყაზახი, და რომელთა არეულობის ადგილას ყოფნამ ხელი შეუწყო ამ ნაწილის შეშფოთებულ მცხოვრებთა დაშოშმინებას. უწესოებამ, დაწყობიდგან იმ დრომდე, ვიდრე იარმუკას ბრბოსაგან გაანთავისუფლებდნენ, დაახლოვებით ¼ საათი გასტანა; ხოლო იმ დრომ, როდესაც უფრო ცხარე იყო ეს უწესოება—არა უმეტეს 8 წუთისა.

„იმათგან, რომელნიც ამ უწესოების დროს ხელმძღვანელ-როლს ასრულებდნენ, პოლიციამ ადგილობრივ შეიპყრო 41 კაცი; აქედგან უმრავლესობას მუშები შეადგენენ, ერთი ხარკოველი სტუდენტია და სამი უმაღლეს კურსების ყურის-მგდებელი, პეტერბურგიდგან უკანასკნელ უწესოების დროს გამოგზავნილნი.

„როგორც აქამომდე გამოირკვა, უწესოების დროს დაშავდნენ: პოლიცმეისტერი კოვალევი, რომელსაც მუხლი მოსტეხა და ფეხი ულრძო წაქცეულმა ცხენმა, რომელსაც პოლიცმეისტერი მიაქანებდა; ამისდა მიუხედავად პოლიცმეისტერმა ამის შემდეგაც რამდენსამე საათს განაგრძო თავის მოვალეობის აღსრულება; ბოქაულის თანაშემწე გედევანოვი, რომელიც ძლიერ, თუმცა საშიშოდ კი არა, დასჭრეს ხელსა და მარცხენა მხარში; ზემოდ მოხსენებული პოლიციელი კიტანცევი და რამდენიმე სხვა კაცი, რომელნიც მსუბუქად იქმნენ დაჭრილნი.

„მანიფესტანტთა ბრბოდგან დაშავდნენ: მძიმედ—მამალაძე, რომელიც რევოლვერს ისვროდა, და მსუბუქად—ერთი იმათგანი, რომელთაც ნიშნები მიჰქონდათ; უფრო ნაკლებად დაპატიმრებულთაგან დაშავდა ცხრა კაცი“.

* * *

ახალი ამბავი

⁂ 24 აპრილს, განჯის გუბერნიიდგან ტფილისში დაბრუნდა კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.

⁂ პარასკევს, 27 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება, რომელზედაც განხილულ იქმნება საქმე საზოგადოების საბაღოსნო სკოლის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ, ამავე სკოლის ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვანი.

⁂ შაბათს, 28 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის თვით-მართველობის მოხელეთა სხდომა მოხდება, რომელთაც ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასსის დაარსების შესახებ წესდება უნდა შეიმუშავონ.

⁂ დღეს, 26 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება სხდომა ქალაქის საბჭოსი, რომელზედაც განსახილველად დანიშნულია სულ 10 საქმე. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ქალაქის დადგენილებას სამთო-ინჟენერების ბრაილოვსკისა და ხატისოვის შუამდგომლობისა გამო, რომ ველიამინოვის ქუჩიდგან ბოტანიკის ბაღში გვირაბი იქმნას გაყვანილი და ელექტრონით მმოძრავი რკინის გზა გაკეთდეს. გარდა ამისა განიხილავენ შუამდგომლობას ბ-ნის არზუმანოვისას იმის შესახებ, რომ ციციშვილის კლდეზედ ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვანი მანქანა იქმნეს გამართული და მოხსენებას იმის შესახებ, რომ ალექსანდრეს ბაღში საყავე პავილიონი იქმნეს გამართული.

⁂ სამშაბათს, 24 აპრილს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამმართველს კომიტეტს; კომიტეტმა საბოლოვოდ შეადგინა გამოფენის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა და რადგანაც ხარჯთ აღრიცხვით გამოირკვა, რომ გასავალი შემოსავალზედ 14,600 მანეთით მეტი იქნება, კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღსძრას მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, მოსალოდნელ დეფიციტის დასაფარავად მთავრობისაგან საჭირო ფული იქმნეს გადადებული. კომიტეტმა ამავე სხდომაზედ გამოფენის გამმართველ კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩია ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი, ხოლო მდივნათ ლ. დ. ყიფიანი.

⁂ ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას დღეს, საღამოს 8 საათზედ, ზოგიერთა მიმდინარე საქმეების განსახილველად სხდომა აქვს დანიშნული.

⁂ დღეს, 26 აპრილს, ქალაქის საბჭოს სხდომა ექმნება წინანდელ სხდომაზედ დარჩენილ საქმეთა განსახილველად.

⁂ დუშეთის ქალაქის მამასახლისად არჩეულ იქმნა გ. გ. ყარანგოზიშვილი, ხოლო მის თანაშემწედ ა. მ. მარტიროზოვი.

⁂ 23 აპრილისათვის დანიშნული კრება ტფილისის მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. მეორე კრება 9 მაისს მოხდება.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, შარშან, რკინის გზის ტფილისის სადგურის მახლობლად სურამის ქუჩაზედ დაარსებულ იქმნა 3 სამრევლო-საეკკლესიო სკოლა, სადაც მიღებულ იქმნენ უმეტესად რკინის გზის მოსამსახურეთა შვილები. ამის გამო სამრევლო საეკკლესიო სკოლების ზედამხედველმა მამა ვოსტორგოვმა სთხოვა რკინის გზის გამგეობას, რომ ზემოხსენებულს სკოლებს შემწეობა აღმოუჩინონ. ეს თხოვნა 24 აპრილს განიხილა რკინის გზის საბჭომ და დაადგინა, მიეცეს წლეულს აღნიშნულს სამრევლო სკოლებს ერთხნობით 600 მან. და ყოველ წელს აძლიოს კიდევ ოთხ-ოთხი მანეთი რკინის გზის მოსამსახურეთა თვითეულ მოსწავლე შვილზედ.

⁂ ტფილისის კადეტთა კორპუსში ეგზამენები 21 აპრილს დაიწყო, უკანასკნელი ეგზამენი 30 მაისს მოხდება, შემდეგ მოსწავლეთ დაითხოვენ საზაფხულოდ.

⁂ სახელმწიფო შემნახველ კასსათა გამგეობამ რკინის გზათა გამგეობასთან შეთანხმებით საჭიროდ სცნო შემნახველი კასები დააარსოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებს ჩაქვსა და კალაგერანში.

⁂ 23 აპრილისათვის დანიშნული ტფილისის ქალაქის გამგეობასთან არსებულის შემნახველ გამსესხებელ კასის წევრთა კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. კრება ხელახლად 28 აპრილს მოხდება.

⁂ 23 აპრილს, ღამე, ოლგას ქუჩაზედ, ცხენის რკინის გზის მიმავალ ვაგონში ვიღაც კაცმა მოჰკლა მოქალაქე ალექსანდრე სტეფანეს ძე მეღვინოვი. მკვლელობა გსე საღამოს 11 საათზედ მოხდა. ვაგონში მეღვინოვი კალატოზოვთან ერთად ჩამჯდარა. ამათ გარდა ვაგონის პირველ სკამზედ ორი თუ სამი კაცი მჯდარა. როდესაც ვაგონი სამხედრო სასამართლოს შენობას გასწორებია, ვაგონში მოულოდნელად შემხტარა ვიღაც კაცი, რომელსაც თვალის დახამხამებაზედ მეღვინოვისთვის ხანჯალი უტაკებია გვერდში, შემდეგ თავში დაურტყავს და გადამხტარა. ყველა ეს ისე უცბად მომხდარა, რომ წინა სკამზედ მჯდომთ ვერაფერი გაუგიათ, კალატოზოვს მკვლელის სახე ვერ დაუნახავს, ხოლო თვით მეღვინოვს „მომკლეს, მკვდები“-და დაუძახნია მხოლოდ. გულ-წასული მეღვინოვი საავადმყოფოში წაუყვანიათ, მაგრამ გზაში გარდაცვლილა. მკვლელობის მიზეზი, როგორც ამბობენ, ისა ყოფილა, რომ მეღვინოვი ძალიან ავიწროებდა თურმე ვერაზედ, ჯვარის მახლობლად მცხოვრებ ღარიბებს. იქ დიდ-ძალი მამული ჰქონია მეღვი-

ბაბაეთი, ადგილ ადგილ განივრდება და წარმოადგენს ოთხ-კუთხ პატარა ოთახებს, სადაც პირველ საუკუნეებში იკრიბებოდნენ ქრისტიანები გაჭირვების დროს. თვით გვირაბები კიდევ დანიშნული იყო ქრისტიანების მიერ ადვილად მკვდრების დასამარხავად, ასე რომ კატაკომბები წარმოადგენდა უშველებელ სასაფლაოს პირველ ქრისტიანებისას. ამ გვირაბების კედლებში ქრისტიანები სთხრიდნენ პატარა გამოქვაბულებს (loculus) დაახლოვებით კაცის ზომის ტოლას, ამ გამოქვაბულში ასვენებდნენ მიცვალებულს და შემდეგში გამოქვაბულის პირს უშენებდნენ აგურით ანუ მარმარილოს ფიცრით, რომლებზედაც ან აწერდნენ გვარს მიცვალებულისას, ან ჰხატავდნენ რომელსამე ქრისტიანთა ემბლემას, მაგალითებრ მტრედს, თევზს, ბზის ტოტს, ნიშანს წამებისას, ან სჭრიდნენ სადა წარწერას in pace, ე. ი. განსვენებაში. როდესაც ერთი რიგი გამოქვაბულებისა გაივსებოდა მიცვალებულებით, მაშინ აღრმავებდნენ გვირაბს და სთხრიდნენ მეორე რიგს გამოქვაბულებისას; როდესაც ესეც გაივსებოდა, კიდევ აღრმავებდნენ გვირაბის ნიადაგს და უკეთებდნენ მესამე რიგს, ასე რომ დღეს სამი, ოთხი, ხანდახან ხუთი რიგი სჩანს ამ გვარ გამოქვაბულებისა. თვით გვირაბები გაყვანილია ერთ გვარ ნიადაგში, რომელიც შემდგარია ქვიშიდგან შეერთებულ ცემენტით ვულკანიურ ნაწილებთან; ეს ნიადაგი თავისის თვისებით, ჯერ ერთი, ადვილი სათხრელია, მეორე—ძნელად ინგრევა და მესამე—წყალ-შეუვალობის გამო კარგად ინახავს ადამიანის გვამს. ამ თვისებათა მიზეზის გამო პირველნი ქრისტიანენი კატაკომბებს თხრის დროს ეძებდნენ ამ გვარ ნიადაგს და როდესაც ხვდებოდათ მაგარი ნიადაგი, ანუ ქვები, გზას უქცევდნენ, ასე რომ კატაკომბებს ადამიანი ადვილად გაარჩევს ძველ რომაელების მაღნებიდგან, რომლებიც უფრო ხელოვნების წესს მისდევდენ. გამოთვლილია, რომ საერთო სიგრძე კატაკომბებისა 20 ვერსზედ მეტს შეადგენს, რადგან მთელი მიდამოები რომისა გავსილია ამ გვარ საფლავებით, სადაც დამარხულია ერთ მილიონზედ მეტი ქრისტიანე; არც არის საკვირველი, რადგან ოთხ პირველ საუკუნეში ქრისტიანები ასაფლავებდნენ შიგ თავიანთ მკვდრებს, უმეტესნი წამებულნი და ზოგიერთი პაპებიც აქ არიან დამარხულნი. შემდეგში, როდესაც ქრისტიანობამ გაიმარჯვა, ეს სასაფლაოები მიტოვებული იყო და ხშირ ომების გამო სრულიად მივიწყებულ და დანგრეულ იქმნა, მხოლოდ მე-XVI საუკუნის გასულს ბატონმა ბოზიომ, რომელსაც უწოდებენ ქრისტეფორე კოლუმბს წმიდა საფლავებისა, აღმოაჩინა ეს გვირაბები და მათს შესწავლას 35 წელიწადი შესწირა.

ვისაც არ უნახავს მაღნები ღრმა მიწის ქვეშ, იმაზედ საშინლად უნდა მოქმედებდეს ამ კატაკომბების დათვალიერება; ჩვენ თვითა შევნიშნეთ ზოგიერთნი მთლად შეშინებულნი და ფერ-მკრთალნი კატაკომბებიდგან გამოსვლის დროს. მართლაც, საშინელი ვიწრო ხვრელი დედამიწის ქვეშ, განუწყვეტელი სიბნელე, რომელსაც ძლივს ანათებს გზის-მაჩვენებლის სანთელი, უჰაერობა, რომელიც უშლის ადამიანს თავისუფალ სუნთქვას, საფლავები გავსილი ძვლებით და უგზო-უკვლო სიარული—ყველა ეს საშინლად აღელვებს ადამიანს, მაგრამ ვინც ყოფილა 200 საჟენზედ დედამიწის ქვეშ ვიწრო გვირაბებში, სადაც დინამიტის ჭექა-ქუხილის გამო კაცი ძირს იმხობა და დედამიწა მთლად ინძრევა, მისთვის კატაკომბების ნახვა არაფერია, ყველაფერს მიეჩვევა, ადამიანი ცუდ ცოლსაც მიეჩვევაო, ამბობს ხალხური ანდაზა. რაც შეეხება კატაკომბების ხელოვნურ ღირსებას, იგი გამოისახება ზემოდ მოყვანილ სადა ემბლემიურ ნახატებში, როგორც მტრედი, ბზის ტოტი... ჩვენ ვგონებთ, რომ ამ კატაკომბების მკეთებლები, როგორც უბრალო და სადა კაცები, გამსჭვალულნი სახარების მოძღვრებით, ჩვილნი გულით და ურჩნი მოქმედებით, არა ჰფიქრობდნენ მიწიერ ცხოვრების გალამაზებისა და ხელოვნებისათვის, ამიტომ ამ მომქმედებისთვის საფლავების თხრის დროს დედამიწის სიბნელეში მათი ფიქრი და გონება ზეცისკენ მიისწრაფოდა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული მიმართულება, რომელიც არჩევდა ქრისტიანებს კერპთაყვანისმცემლებისაგან, შესაძლოა ერთი იმ მიზეზთაგანი იყო, რომ ქრისტიანებმა დაიწყეს მკვდრების დასაფლავება გვირაბებში. რომაელები და სხვა კერპთ-თაყვანისმცემლები სწვავდნენ მიცვალებულებს და ჰმართავდნენ საფლავებს სასოფლო გზებზედ მშვენიერ ხელოვნურ ძეგლებითურთ. რომაელთა კანონი დიდ მფარველობას უწევდა მკვდრების ხელშეუხებლობას, ასე რომ ქრისტიანებს შიში არ უნდა ჰქონოდათ მკვდრების შეგინებისა. რომაელების მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ქრისტიანები ჰმარხავენ თავიანთ მკვდრებს კატაკომბებში, რადგან უწოდებდა მათ სახელს latebrosa lucifuga natio; ამისათვის მთავრობის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ იქმნებოდა. მაშასადამე, მიზეზი ამ გვარ წესით დამარხვისა ქრისტიანების მიერ უნდა სხვა გარემოებაში მოიძებნოს. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ებრაელების საფლავები, რომელთა მოწყობილობა წააგავს კატაკომბების გამოქვაბულებს; შესაძლებელია პირველნი ქრისტიანენი ჰბაძავდნენ ებრაელებს, რომლებმაც, რასაკვირველია, გადმოიღეს ეს წესი ეგვიპტელებიდგან. მხოლოდ უფრო საფიქრებელია, რომ ქრისტიანენი არა ჰსურდათ დასაფლავება მკვდრებისა იმავე წესით, რომელიც შემოღებული ჰქონდათ კერპთაყვანისმცემლებს, რადგან თვით მათი იდეა ეწინააღმდეგებოდა ამათ მოძღვრებას. ამ ქვეყნიერ სიკვდილის შემდეგ ქრისტიანებს ჰსურდათ ამ გვირაბებში ან კატაკომბებში ყოფნა განსვენებით, ძილი მყობადი იმედით გაღვიძებისა, როდესაც [illegible] საყვირი უკანასკნელ განკითხვის დღისა და მკვდრეთიდგან აღდგომის წინასწარ მახარობელად.

გიორგი დეკანოზიშვილი

ნოვს, სადაც ძველადვე დღიურ მუშებს ქოხები აუშენებიათ და ცხოვრობდნენ. მღდვინოვსა და ამ მუშებს ყოველთვის უკმაყოფილება ჰქონდათ თურმე, პირველს უნდოდა გაედევნა მამულიდგან მუშები, მეორენი კიდევ მესაკუთრედ არა სცნობდნენ მღდვინოვს. დავაც კი ჰქონიათ სასამართლოში, რომელმაც ადგილი მღდვინოვის საკუთრებად სცნო. ბოლოს საქმე იქამდე გამწვავდა, რომ მცხოვრებნი ემუქრებოდნენ, მოგკლავთ, თუ არ მოგვასვენებო.

ეჭვი მღდვინოვის მკვლელობაში გიგო მისირაშვილსა და ძმათა ახალკაცოშვილებზედ მიუტანიათ.

⁂ 22 და 23 აპრილს ტფილისის ...ლეთა მე-III გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ სახალხო სეირნობიდგან 2 ათას მანეთამდის შემოსულა.

⁂ ქალაქის საყასბოს გამგეს ვართამოვს ქალაქის გამგეობაში შეუტანია მოხსენება, რომელშიაც სწერს, რომ მიუხედავად სავალდებულო დადგენილებათა, საქონლის პატრონნი ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას ჰკვლიან ხოლმე საქონელს და საყასბოში სულ არ მოჰყავთ საქონელი. ვართამოვს უთხოვნია აღკრძალონ საყასბოს გარეშე საქონლის გაყიდვა.

⁂ სოფელი ბანძა, (სენაკის მაზრა). სოფ. ბანძაში, 5 აპრილს ველიჯანის მთავარ ანგელოზის ეკკლესიის დღეობაში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: ონოღიის სოფლის მცხოვრებს ივანე გაბუნიასა და ამავე ეკკლესიის დიაკვან ლოლუას შორის მოხდა ჩხუბი, რომელმაც უდანაშაულო გაბუნია იმსხვერპლა: დ. მიჰვარდა ივანე გაბუნიას, რომელსაც არავითარი იარაღი, ჯოხი რა არის, ჯოხიც-კი არა ჰქონია (ლ—ს კი ჰქონდა რევოლვერი და თითქმის ორ თითზედ ამოღებული ხანჯალი) და შეუძახა: „ქრისტე აღსდგა!" თან ჩაეცივდა: „ჭეშმარიტად!" მითხარიო. ამათ შორის წინად რადაცა მიზეზისა გამო შური ყოფილიყო დათესილი, და რაკი ლოლუას ასეთი საქციელი გამოსაწვევი მიზეზი იყო, სხვა არაფერი, ივანე გაბუნიაც „ჭეშმარიტადს" არ ეუბნებოდა, მაგრამ საჩხუბრადაც არ მიიწევდა. ბ-ნი ლ—ა კი სულ შარზედ იყო და არ ეშვებოდა. მაშინ მივარდნენ მას ქალები და ხვეწნა-ვედრებით როგორც იყო უკან დასწიეს. რაკი ამან თავისი თავი დაკავებულად იცნო, იშიშვლა ხანჯალი, ეცა და გაირეკა და ივანე გაბუნიას მეორე მხრიდგან მოუარა. აქაც დაიჭირეს და ხელიდგან ხანჯალი გააგდებინეს. ვიდრე ამ დროს ხელმეორედ მისცა ხანჯალი, რომელიც მან ასრე ოთხი-ხუთი საჟენის მანძილიდგან ესროლა ივ. გაბ—ს. ხანჯალი მოჰხვდა გაბუნიას, მარჯვენა თვალი ოთხად გაუპო და წვერმა ტვინამდე უწია. თვალიდგან ივ. გაბ-ს კოკის-პირული სისხლი წამოუვიდა. მოდი და ნუ იტყვი, რომ ხალხი თან-და-თან ირყვნება და სარწმუნოება ეცემა!

რასაკვირველია, ასე უნდა იყოს: იმისთანა უმაწვილი, როგორიც ბრძანდება ბ. ძ. ლ. მღვდლობას უნდა ეძიებდეს და იმისთანა უმაწვილი, როგორიც იყო ივ. გაბ.—მშვიდი, წყნარი, ჩხუბის, აყალმაყალის დამგმობი, ხუთ-კლასამდის ნასწავლი და მერე სოფლად მცხოვრები,—ამ სოფელს უნდა გამოესალმოს. საბრალო ივანე გაბუნია ს. თოფურიას საავადმყოფოში დაწვენეს ქუთაისში, ოპერაციაც უყვეს, მაგრამ შველა არ დაეტყო და ოპერაციის შემდეგ ორი დღე და იცოცხლა. გარდაიცვალა 11 აპრილს, რომლის მიზეზადაც დაასახელეს „Острое гнойное воспаленіе мозговыхъ оболочекъ". 13 ს აპრილს გაბუნიას გვამი ს. ონოღიაში გაასვენეს. ონოღიიდგან და აგრეთვე მეზობელ სოფლებიდგან გამოსული ხალხი თითქმის ქუთაისიდგან დაწყებული ასობით და ორასობით ჰხვდებოდა მიცვალებულს. ლოლუა დაჭერილია. გამოძიება ჯერ არ დაწყებულა.

⁂ ამ დღეებში პოლიციის მეცხრე ნაწილში გორის მცხოვრებმა ზ. ლ. მესხიევმა განაცხადა, რომ ჩემს შინ არ ყოფნის დროს ვილაც ბოროტ-განმზრახველმა ბინა გამიტეხა ხანაგოვის სახლში დიდის მთავრის ქუჩაზედ და ნივთები მომპარა: პალტო, სამოვარი, 4 ბალიში, 12 საბანი და სხვანი, სულ 150 მან. ღირებულიო. ქურდობაში ეჭვი არავისზედა აქვს მიტანილი. პოლიცია ქურდების აღმოსაჩენად ფიცხელს გამოძიებას შეუდგა.

⁂ პოლიციის მე-7 ნაწილში, მამუკას სოფელში, 21 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზედ სიმთვრალის დროს ჩხუბი მოსვლიათ ტფილისის მოქალაქეს არუთინა აზაროვსა და სოფ. ხაშმის მცხოვრებს ალექსი პეტრეს ძე ტერ-მელოაშვილს, რომელიც აზაროვს დანით ოთხგან დაუჭრია ზურგსა და მარცხენა ხელში. ტერ-მელოაშვილი შემწეობის აღმოსაჩენად მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, ხოლო დამნაშავე აზაროვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

⁂ 21 აპრილს, კახეთის მოედანზედ, ქვრივის მინასოვისათვის ოჰანეზ სულიევს 25 მან. სარეცხი მოუპარავს. სულიევი უკვე შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

⁂ პოლიციის პირველს ნაწილში გუშინ-წინ პოლიციის მსახურმა იპოვნა საბებიო ინსტიტუტის პირდაპირ მიგდებული ახლად დაბადებული ბავშვი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

წერილი რიონ-გაღმის კუთხიდგან.

ამას წინად ჩვენს კუთხეში ქუთაისის მაზრის უფროსმა ბ-მა დადეშქელიანმა ჩამოიარა, რომელმაც აღგვითქვა ისევ მალე ჩამობრძანება და გზების შეკეთების შესახებ განკარგულების მოხდენა. რადგანაც თვითონ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თავისუფალი დრო ვერ იშოვა მობრძანებულიყო, ამისთვის ჩვენის კუთხის გზების დათვალიერება და, რაოდენადაც შესაძლებელი იქმნებოდა, შეკეთება, მაზრის სამმართველოს მეათე კლასის მოხელეს ბ-ნს ოქროპირიძეს მიანდო. ბ-ნი ოქროპირიძე მონდობილობისამებრ ჩამობრძანდა 17 მარტს და რვა დღეს დარჩა აქეთ. ამ ხნის განმავლობაში მან დაათვალიერა შემდეგი საზოგადოების გზები: ტობანიერისა, ვანისა, გორისა და ბაღდადისა; ესე იგი, დ. სამტრედიიდგან დაწყებული დ. ბაღდადამდის და საპაიჭაოს საზღვრამდის. ამ საზოგადოების მამასახლისებს გამოაყვანინა მუშები ურმებითა და ერთის კვირის განმავლობაში ყველას თავ-თავის წილად გზები აკეთებინა. ამ გვარად, სამტრედია-ბაღდადის გზა ჯერ-ჯერობით გვარიანად შეკეთდა, მაგრამ რადგანაც აღდგომის დღესასწაულებმა მოუსწრო გლეხებსა და ნაადგომევს-კი ხვნა-თესვა დაიწყეს, ამის გამო გზის კეთება ეხლა შეჩერებული იქმნა და ხელ-ახლად რომ დამდეგ ივლისიდგან დაიწყებდნენ, მომავალ საზამთროდ მშვენიერი გზები გვექნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, ბატონი მაზრის უფროსი გზების საქმეს შემდეგშიაც დაავალებს ვისმეს.

მამასახლისებმაც რიგიანად ამუშავეს გლეხები, რასაც თავისის მხრივ ხელი შეუწყო მოხელემ ბ-ნმა ოქროპირიძემ. მადლობის ღირსია განსაკუთრებით გორის საზოგადოების მამასახლისი მ. ძაგრაშვილი, რომელმაც უფრო გულმოდგინეთ მოჰკიდა საქმეს ხელი. კარგი იქნებოდა ბ-ნი მაზრის უფროსი დაავალებდეს მამასახლისს ძაგრაშვილს, რომ მან შეაკეთოს გზები ბაღდად-ორპირის დიდი გზიდგან სს. ბზვანსა, ამაღლებასა, ინაშაურსა და გორაში მიმავალი, რადგანაც ამ სოფლებში დიდძალი ხალხი სცხოვრობს, და ამათ ყველას კარგი გზა ესაჭიროებათ ამაღლების ბაზრობასა, დდ. სამტრედიასა, ბაღდადსა და ქუთაისში წასასვლელად.

გზები აქვს გასაკეთებელი: ტობანიერის საზოგადოებას საპაიჭაოს საზღვრიდგან დაწყებული ბაღდად-ორპირის გზამდის, სადაც სამმართველო და სასწავლებელია, სულ ექვსი ვერსის მანძილზედ; შემდეგ ორპირის გზა მიდის დასავლეთისაკენ და გაივლის მეზობლის საზოგადოებაზედ, რომლის საზღვრამდისაც შვიდი ვერსი იქმნება. 1871 წლიდგან, როდესაც ფოთ-ტფილისის რკინის გზა იქმნა გახსნილი, ორპირმა მნიშვნელობა დაჰკარგა და მისი ადგილი დაიჭირა სამტრედიამ; ამისათვის ბაღდად-ორპირის გზიდგან გაყვანილ იქმნა ახალი გზა სამტრედიამდის; ეს გზა დაიწყება ტობანიერის სასწავლებლიდგან, გაივლის ს. ჭყუშში და მივა ბორნამდის, სადაც ეწერის საზოგადოების საზღვარია; შემდეგ კი—სამტრედიაში. გზა სიგრძით ბორნამდის ათი ვერსია.

ამ გზაზედ დღეს დიდი მოძრაობაა ქვევითისა, ცხენოსნისა, ურმებისა, დილიჟანებისა, ფაიტონებისა, და უთვალ გვარის ეტლებისა; ეწოდება სახელად სამტრედიაში მიმავალი ბაღდად-ორპირის გზის პირველი ტოტი. სამისა ანუ მეტის ვერსის დაშორებით ამ პირველი ტოტიდგან, უფრო ქვევით, არის გაყვანილი მეორე ტოტი, რომელიც გაივლის ს. ჭყუშურზედ, შემდეგ საყანეებზედა და ბორანთან მისვლამდე პირველს ტოტს შეუერთდება; ეს უფრო მეორე ხარისხოვან გზად არის ცნობილი და მეტი სიგრძეც აქვს. ტობანიერის საზოგადოებას უნდოდა, რომ პირველი ტოტი ორპირ-ბაღდადის გზისა, რომელზედაც უფრო მეტი მოძრაობაა, საგულდაგულოდ გაკეთებულიყო. ამის გამო ბ-ნმა ოქროპირიძემ 18 მარტს მთელის საზოგადოების კრება მოახდინა და ჩააგონა ხალხს, რომ ამათ ეს გზა გასაკეთებლად იჯარით გაეცათ; დიდის მითქმა მოთქმის შემდეგ ხალხი თანახმა გახდა, მაგრამ ამავე დროს მეორე ტოტის მახლობლად მცხოვრებმა მღვდელმა გამოუცხადა მოხელეს და ხალხსაც, რომ თუ განაჩენში ამ მეორე გზის გაკეთებასაც არ შეიტანენ, იმ შემთხვევაში იქაურს მცხოვრებლებს არც ერთს არ მოაწერინებს ხელს განაჩენზედ. საზოგადოება ამაზედ არ დასთანხმდა, გაჩნდა დას-დასობა, ერთი მხარე ირჩევდა ერთის გზის გაკეთებას, მეორე მეორისას და ამ გვარად გზა დარჩა იჯარით გაუცემელი. რაკი საქმე აქამდის მივიდა, უკეთესი იქნებოდა, მთავრობა ერთს ინჟენერს გამოჰგზავნიდეს, რომელიც დაათვალიერებს, თუ რომელი გზა უფრო მოკლეა, რომელი უფრო ადვილი გასაკეთებელი; ან სად დასჭირდება გამართვა, სად გადახვევა; შეიძლებოდა მაშინ ამ ორ ტოტშუა გაეყვანათ სულ ახალი გზა და ამ დას-დასობას ბოლო მოჰღებოდა, ყველას ერთი გზა ჰქონოდა; კერძო გზებს-კი, რომელ სოფელსაც ესაჭიროებოდა, ყველა თავისით გაიკეთებდა.

24 მარტს ბ-მა ოქროპირიძემ ხელახლად მოახდინა ტობანიერში კრება ისევ ამ გზის შესახებ, მაგრამ არაფერი არ გაკეთდა, რადგანაც მღვდელი და მისი კუთხის ხალხი თავისს აზრს ადგნენ. შემდეგ ოქროპირიძემ ბრძანება მისცა მამასახლისს, რომ გზაზედ სამუშაოდ საზოგადოება ყველა გამოეყვანა. ყურადღება მიაქცია აგრეთვე სამმართველოს წინ მოედანს, რომელიც ჭაობებით იყო ავსებული და მშვენივრად მოაკენწინა. 26 მარტს ეწერის საზოგადოების გზები დაათვალიერა დ. სამტრედიიდგან დაწყებული ს. დიდი ჯიხაიშის საზღვრამდე და აქედგან იანეთის ბაქნამდის; იანეთში გზები კარგია, მაგრამ თვით ეწერსა და ჯოქოთუბანში უკეთებელია. საჭიროა ეწერის საზოგადოების მამასახლისმა ამ გზებსაც მიაქციოს ყურადღება, რადგანაც ნახევარს საზოგადოებას ეს ორი სოფელი შეადგენს. ჩვენს კუთხეში უნდა გაკეთდეს კიდევ გზები დვალიშვილების საზოგადოებაში და საპაიჭაოს საზოგადოებაში. პირველი საზოგადოება შესანიშნავია სამკურნალო აბანოებით, სადაც ზაფხულობით აურაცხელი ხალხი იკრიბება, მეორე საზოგადოება-კი შესანიშნავია თავისის ხე-ტყითა და ყავარითა და ათ-თორმეტ ვერსზედ გადაჭიმულ სახელმწიფო ტყეებით.

ვლადო ბზვანელი

კავკასიის მომავალი საიუბილეო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. *)

განყოფილება მე XVII: სამეცნიერო-სამოსწავლო.

ჯგუფი 1. სამოსწავლო მოწყობილებანი და სახელმძღვანელოები.

ჯგუფი 2. საფიზიკო და საქიმიო პრიბორები და საზომი იარაღი; საოპტიკო პრიბორები და იარაღი, საანატომიო პრეპარატები, ბანდაჟები და სხვანი.

ჯგუფი 3. სამუსიკო საკრავები და სხვ.

ჯგუფი 4. სტამბა, ლიტოგრაფია, მსწრაფლ-მბეჭდავი (სასტამბო და სალიტოგრაფო იარაღი და სხვა ნივთები: ასოები, კლიშეები და სხვ.); საგამომცემლო საქმე, კავკასიის დროგამოშვებით გამოცემათა ნიმუშები, სხვა-და სხვა გამოცემათა კოლექციები, ახალი წიგნები, ხრომო-ლიტოგრაფიის ნაწარმოებნი; ავტოგრაფები და სხვანი.

ჯგუფი 5. ფოტოგრაფია. საფოტოგრაფო პრიბორები, სტერეოსკოპები, კლიშეები და სურათები.

განყოფილება მე-XVIII: სამხატვრო.

ჯგუფი 1. მხატვრობა.

ჯგუფი 2. ხაზვა.

ჯგუფი 3. ქანდაკება (გიპსისა, მარმარილოსა, თიხისა და ბრინჯაოსაგან).

ჯგუფი 4. გრავიურა.

ჯგუფი 5. ხუროთ-მოძღვრება საზოგადოდ.

გამოფენის გამართვა მინდობილი აქვს საორგანიზაციო კომიტეტს, რომლის თავმჯდომარედაც კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი უგან. თავადი ბ. ა. გრუზინსკია, ხოლო წევრებად სხვა-და-სხვა უწყებისა და დაწესებულების წარმომადგენელნი. განყოფილებათა გამგეებად დანიშნულ იქმნენ: 1) მიწადმოქმედებისა—ვ. ნ. ბეევსკი, 2) მევენახეობისა და მეღვინეობისა—პ. ი. უფიანი და გოგოლ-იანოვსკი, 3) საბაღე და საბოსტნე თესლეულობისა, სანერგეებისა და ნერგებისა—კ. პ. კვეესი, 4) დეკორატიულ ბაღოსნობისა—ზ. დ. პრილიპკო, 5) ხეხილეობისა და მებოსტნეობისა—ა. ა. გინცენბერი, 6) ტყის მოვლა-მოშენებისა—თ. ა. შიმანოვსკი, 7 და 8) მერძეობისა და საქონლის მოშენებისა—ა. ა. ქალანთარი, 9) მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა—გ. გ. სუნდუკიანცი, 10) შინა და სახელოსნო მრეწველობისა—ა. ს. ფირალოვი, 11) მეთევზეობისა და მონადირეობისა—მ. ი. ლოლუხანოვი, 12) საქარხნო-მრეწველობისა—გ. გ. ადელხანოვი, 13) სამთო განყოფილებისა—მ. ი. ჩენგერი, 14) სამეცნიერო-სამოსწავლოსი—გ. ი. რადდე, 15) სამეცნიერო-სასტატისტიკოსი—გლასსკი და 16) სამხატვრო განყოფილებისა—ფ. ი. ხოდოროვიჩი.

უცხოეთი

ჩინეთი. „National Zeitung"-ის შანხაელი კორრესპონდენტი შემდეგს ცნობებს იუწყება ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს შესახებ:

„ჩინეთის სახელმწიფო საბჭო ჩუნ-ჩი-ჩუ ისეთსავე საქმეს ასრულებს ჩინეთში, როგორც ევროპის სახელმწიფოების მინისტრთა საბჭო. საბჭოს წევრნი, რომლებიც იმავე დროს სამინისტროთა პრეზიდენტებათ და ვიცე-პრეზიდენტებათ ითვლებიან, ყოველ დილით სასახლეში იკრიბებიან, რომ სახელმწიფო საქმეთა შესახებ იმპერატორსა ან ქვრივ იმპერატრიცას თავისი მოხსენება წარუდგინონ. საბჭოს წევრნივე, ჩვეულებრივათ რიცხვით ექვსნი ან შვიდნი, ადგენენ საიმპერატორო ბრძანებათა პროექტებსა და ითვლებიან ტახტის უმახლობელეს მრჩევლებათ.

სასახლის სინანფუში გაქცევის დროს სახელმწიფო საბჭოს წევრთაგან ჩი-ხეინი დასჯილ იქმნა, ჩაო-ჩუ-ჩიაოს თავის მოკვლა გარდაუწყვიტეს, კანგიუმ-კი თავისით მოიკლა თავი, ღრმად მოხუცებული პრეზიდენტი პრინცი ლი დღემდის დამალულია. ამ რიგად ვანგ-ვენშაუ და იუნგ-ლუ-და ითვლებოდნენ მინისტრებათ, რომლებიც შეადგენდნენ დროებითს კაბინეტს. რამდენისამე ხნის შემდეგ ამათ შეუერთდნენ კიანსსუ, ლუ ხუან ლინი და პრინცი ტუანი. მაგრამ პრინცი ტუანი, იმპერატორის ბრძანებისა თანახმად, მალე იძულებული შეიქმნა საბჭოდგან გამოსულიყო; ასე რომ ახლა სახელმწიფო საბჭოში მხოლოდ სამი მინისტრი-ღაა: კონსერვატორი ლუ-ხუან-ლინი, არავითარის მტკიცე რწმენისა და შეხედულობის არ მქონე იუნგ-ლუ და ლიბერალი ვანგ-ვენშაუ, რომელიც უცხოელებს მეგობრულად ეპყრობა. ვანგ-ვენშაუსვე სთვლიან უკანასკნელ ცვლილებათა შესახებ ბრძანების შემდგენელად. როგორც ამბობენ, ამ ბოლოს დროს ვანგ-ვენშაუს წინააღმდეგ ჩინეთის სასახლეში ინტრიგები დაუწყვიათ, მაგრამ ვერ უძლევიათ და გამარჯვებული გამოსულა. ამბობენ, სახელმწიფოს ღალატი შესწამა კონსერვატულ დასის ერთმა წარმომადგენელმა, მინისტრთა მდივანმა და ვანგ-ვენშაუს სიკვდილით დასჯა კიდევაც გადაუწყვიტეს, მაგრამ თავი იმართლა და სასჯელი აიცდინაო.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ჰააგიდგან აუწყებენ „Paris Neuvelles"-ს: კრიუგერის მახლობელს წრეს ცნობები მიუღია სარწმუნო წყაროდგან,

---

*) იხ. „ივერია" № 88.

რომ ლორდის კიტჩინერისათვის ინსტრუქციები გაეგზავნა მთავრობას ბურების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება გააძლიეროს და ამასთანავე ბოტასთან ახალი მოლაპარაკება დაიწყოს, თუნდაც ამ ჟამად კიდევ ახალი შეღავათისა და რაიმე უფლების დათმობა დასჭირდესო. ინგლისის მთავრობა უკვე კარგად ჰგრძნობს, რომ ამ სეზონს იქით ომის განგრძობა ძლიერ გაუძნელდება როგორც იმის გამო, რომ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ნებას არ აძლევს, აგრეთვე იმის გამო, რომ ზნეობრივად და ფიზიკურად ინგლისის მხედრობა ერთობ მოწყვეტილია, მოუძლურებულია. ამისათვის მთავრობას განზრახვა აქვს უკანასკნელი ღონისძიებანი მიიღოს და ომი მალე როგორმე დასრულდეს; კრიუგერს დღეს უფრო მეტი იმედი აქვს გამარჯვებისა, ვიდრე აქამდის ჰქონდათ. ამ დღეებში კრიუგერს უთქვამს ერთის ამერიკელისათვის, რომ ბურებს შეუძლიანთ მაკ-კინლეის მოადგილეს არჩევნამდე ომი არ შესწყვიტონ, თუ-კი ამას საჭიროება მოითხოვსო.

— სამხრეთ აფრიკიდგან დაბრუნებული თავისუფალი მეომრები ერთხელ კიდევ ამტკიცებენ იმ არა ერთხელ და ორჯელ გამჟღავნებულს ჭეშმარიტებას, რომ ინგლისელები ყოველსავე ცნობებს ომის შესახებ თავისებურად ამახინჯებენ და ევროპას ისე ატყობინებენ. აი, ერთი ამისი მაგალითი კიდევ სხვა, რომელსაც პრეტორიიდგან იწერებიან: ოფიციალურს „Blomfontain Post“-ში მოთხრობილია ამბავი იმისა, თუ მოდდერფონტეინის მაღნებს ბურები როგორ დაესხნენ თავს და ერთმა მუჭა მხნე და გამბედავ ინგლისელებისამ დიდის ზარალით როგორ უკუ აქცია ბურები და თვითონ კი არავითარი ზარალი არ მოუვიდათ. ამ ამბიდგან მართალია მხოლოდ ის, რომ ინგლისელებს მართლა არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. მაგრამ რად, არ იკითხავთ? რად და იმიტომ, რომ მაღნებში არც ერთის ინგლისელის ჭაჭანება არა ყოფილა. ბურებმა მაღნები უომლად უწინააღმდეგოდ დაიჭირეს, მაგრამ როდესაც მაღნების დირექტორმა განუცხადა ბურების უფროსს ვილიოენს, რომ მაღნების აქციონერები მხოლოდ გერმანელები და ფრანგები არიანო, ბურებმა მაშინვე მაღნებს თავი დაანებეს და არც თუ რამ დაუმტვრევიათ და დაუქცევიათ, მხოლოდ საგძალი და ტანისამოსი წაიღესო.

მოდით, ბ-ნებო, და ამის შემდეგ ინგლისის მიერ მოწოდებულის ცნობებით ისარგებლეთ!

◆

[illegible]

ომში გამოიცდება ვაჟ-კაცი, რისხვაში — ბრძენი, გაჭირებაში — მეგობარი.

ალ. ხარიზი

* *

ერთნაირად ერიდე შენის მეგობრის მტერსაც და შენის მტრის მეგობარსაც.

* *

ერთს ბრძენსა ჰკითხეს: ვინ უფრო მეტად გიყვარს, — ძმა თუ მეგობარი? არ შემიყვარებ მე ჩემს ძმას, უპასუხა ბრძენმა: ვიდრე იგი არ დამიმეგობრდება.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

როგორც გერმანიის სატყეო უწყების ანგარიშიდგანა სჩანს, 1900 წელს, გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს 3,563 ნადირი და ფრინველი მოუკლავს. ყველაზედ მეტი ხოხობი მოუკლავს იმპერატორს — 2,750; შემდეგ კურდღელი — 746, გარეული ღორი — 168, ირემი — 37, მელა — 3 და სხვა.

* * *

მსოფლიო გამოფენის დროს 1900 წელს პარიჟის თეატრებს ძალიან დიდი შემოსავალი ჰქონიათ. ამ წელს თეატრებს აუღიათ სულ 45,765,234 ფრანკი, წინა წელთან შედარებით 12,605,668 ფრანკით მეტი. ამას იმ თეატრების შემოსავალიც უნდა მივუმატოთ, რაც თვით გამოფენაზედ ხელად გამართულ თეატრებსა ჰქონდათ — 12,658,405 ფრ., ასე რომ 1900 წ. თეატრებს შემოუვიდათ სულ 57,923.639 ფრანკი. ყველა ხარჯის გამოკლებით დირექტორებსა და თეატრის პატრონებს წმინდა მოგება დარჩენიათ 21 მილიონი ფრანკი.

* * *

როგორც საეკლესიო წიგნებიდგანა სჩანს, 1898 წელს შიდა რუსეთში 211 მამაკაცი და 205 დედაკაცი მომკვდარა 100—105 წლისა. 105—110 წლისა გარდაცვლილა 53 მამაკაცი და ამდენივე დედაკაცი; 110—115 წლისა 17 მამაკაცი და 15 დედაკაცი; 115—120 წლისა ერთი მამაკაცი ომსკის ეპარქიაში და 5 დედაკაცი: ორი სტავროპოლისა, ხოლო თითო სამარისა, ხერსონისა და ომსკის ეპარქიებში; 120—125 წლისა — ერთი მამაკაცი და ერთი დედაკაცი სტავროპოლის ეპარქიაში; 125—135 წლისა ერთი დედაკაცი მომკვდარა კურსკის გუბერნიაში. ამ რიგად 1898 წ. მართლ-მადიდებელთა შორის სულ 563 კაცი მომკვდარა ისეთი, რომელნიც 100 წელს გადაცილებული ყოფილან.

* * *

ამას წინად ინგლისში საერო განათლების სამინისტროს ერთი დიდი მოხელე გაკვეთილის დროს სახალხო სკოლაში შესულა, მოხელეს მთელის კლასისათვის მიუმართავს და უკითხნია: „ინდოეთში საერო საჭმელად რა ითვლებაო?“ ბავშვები გაშტერებულან; წარმოდგენაც-კი არა ჰქონდათ თურმე ინდოელთა საჭმელზედ. ბოლოს ერთ ბავშვს, სახე გაბრწყინებულს, თითი აუშვერია, ვითომ მე ვიციო, და თამამად, ხმა-მაღლა წამოუძახნია: „ინდოელთა საერო საჭმელს შიმშილი შეადგენსო“...

* * *

ამ ბოლოს დროს ევროპის სახელმწიფოების ჯარის-კაცთა შორის ძალიან გაძლიერდა თვით-მკვლელობა. საყურადღებო ცნობები შეუკრებია ამის შესახებ სკელტონს. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, თვით-მკვლელობა ჯარის-კაცთა შორის უფროა გავრცელებული, ვიდრე სხვა (არა ჯარის-კაცთა) მამაკაცთა შორის. ერთ მილიონ სულზედ თვით-მკვლელობა მოდის:

	ჯარის-კაცი:	არა ჯარის კაცი:
ავსტრიაში	1209	270
პრუსიაში	457	324
იტალიაში	389	75
საფრანგეთში	280	319
ინგლისში	210	118

როგორც ამ ცხრილიდგანა სჩანს, მარტო საფრანგეთში ჯარის-კაცთა შორის ნაკლებადაა შემჩნეული თვით-მკვლელობა, ვიდრე არა ჯარის-კაცთა შორის. ავსტრიასა და იტალიაში ჯარის-კაცთა შორის ოთხჯერ უფრო ხშირია თვით-მკვლელობა, ვიდრე სხვა მამაკაცთა შორის. ავსტრია ყველაზედ წინაა ამ შემთხვევაში. ამას გარდა შემჩნეულია, რომ ავსტრიის ჯარის-კაცთა შორის თვით-მკვლელობა ძლიერდება. საფრანგეთისა და ინგლისის ჯარის-კაცთა შორის-კი კლებულობს.

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ მისს უმაღლესობას პრინცესსა სალომე დავითის ასულს მიურატისას, რომლის თაოსნობითა და ხარჯითაც 8 ამ აპრილს ღამით დ. ზუგდიდში, სამეგრელოს თავადის ნიკოლოზ დავითის ძის სასახლეში ჩემდამი რწმუნებულ ზუგდიდის ორ-კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის უღარიბეს მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ იქმნა კონცერტი, რომლისაგან შემოსული 300 მანეთი მათმა უმაღლესობამ იმავე ღამეს გადმომცა დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად. როგორც კონცერტი, აგრეთვე ბუფეტი იმ ღამეს გამართული იყო მისის უმაღლესობის სრულის ხარჯით, რაც მას დაუჯდა არა ნაკლებ 300 მანეთისა.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმაღლესობა პრინცესსა სალომე დავითის ასული მიურატისა მეტად მოწადინებულია ზუგდიდის მაზრაში დედათა სქესის სარწმუნოებრივს და ზნეობრივს განათლებას ხელი შეუწყოს როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ნივთიერადაც. დ. ზუგდიდში მეორე-კლასიან დედათა სკოლისა დასაარსებლად მათმა უმაღლესობამ შემოსწირა ერთი ქცევა მიწა, ღირებული 2.700 მანეთად და ეხლანდელს 2-კლასიანს სამრევლო საეკლესიო სკოლას დროებით თავისს სახლში სამი დიდი ოთახი დაუთმო კლასებისათვის და კიდევ ცალკე სამთვალიანი სახლი ხელობის მასწავლებლის ბ. გეთიას სადგომად.

იმედია, მათის უმაღლესობის ასეთი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება დიდს ბედს დაასვამს ზუგდიდის მაზრის წარმატებისა და წინმსვლელობის საქმეს. ღმერთმა ინებოს, მისს უმაღლესობას დედათა სქესის განათლების საქმეში წამბაძველნი აღმოუჩნდნენ.

ზუგდიდის მაზრის საეკლესიო სკოლების მეთვალყურე მღვდელი იოანნე ბობოხიძე.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 აპრილი

პეტერბურგი. ჩინეთის საგანგებო ელჩი რუსეთსა და გერმანიაში იანგ-იუ თავისის მეუღლით, ვაჟიშვილითა და ორის ასულით 24 აპრილს წავიდა საზღვარ-გარეთ.

პეკინი. პეკინის ოფიციალურს გაზეთში გამოქვეყნებულია იმპერატორის ბრძანება, რომლითაც 53 პროვინციის მანდარინსა აქვს სასჯელი გარდაწყვეტილი; ამათგან სამს სიკვდილით დასჯა აქვს გარდაწყვეტილი. „53-ში არც ერთს გერმანიის ინტერესებთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვსო, — შეჰნიშნავს თავისს მხრივ ვოლფის სააგენტო, — ამისათვისაც გარდაწყვეტას იმისას, თუ დასჯა ამ მანდარინებისა რამდენად საჭირო იყო და შეეფერება მათს დანაშაულსა, გერმანია დანარჩენს სახელმწიფოებს მიანდობს“.

სოფია. 23 აპრილს მრავალის ხალხის თანადასწრებით დიდის ამბით ჩაჰყარეს საძირკველი იმპერატორის ალექსანდრე II ძეგლისა. მთავარმა ფერდინანდმა ამის გამო გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა. გაიხსენა დაუვიწყარი მეფე განმათავისუფლებელი და ღვთივ მიერ განსვენებულს მონარქსა და რუსეთს მხურვალედ და აღტაცებით მიუძღვნა სამარადისო მადლობა. დღევანდელმა დიდებულმა დღესასწაულობამ ნათლად აღნიშნა ის ძლიერი კავშირი, რომელიც ბოლგარიასა და მის განმათავისუფლებელ ქვეყნის შორის არსებობს.

სტოკჰოლმი. როგორც იუწყებიან, საზღვაო მინისტრს დირსენს სამსახურიდგან გადადგომის შესახებ თხოვნა მიურთმევია.

25 აპრილი

პეტერბურგი. ებოძათ: ჩინელების წინააღმდეგ გამარჯვებისათვის აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა ბრიგადის უფროსს გენერილ-მაიორს სტესელსკის გენერალ-ლეიტენანტობა; ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-მაიორს გერშელმანს გენერალ-ლეიტენანტობა და დანიშნულ იქმნა ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსათ.

ტიანძინი. გერმანიის ქვეითა რაზმი გუშინ დილით იქმნა რკინის გზით პეიხოში გაგზავნილი. ინგლისის არტილერიის რაზმი ოთხშაბათს მიდის შანხაიგუანში, სადაც მთელს დარჩება. რუსეთის უკანასკნელი ჯარები დღეს წავიდნენ პორტ-არტურში. ვოკზალამდე რუსის ჯარები დანარჩენ ერთა ჯარების რაზმებმა მიაცილეს. ამ ჟამად აქ მყოფი ადმირალი სეიმური დღეს მიდის ტაკუში.

ლონდონი. საჯაროდ გამოქვეყნებულია ოფიციალურად, რომ 2 მაისს გაუქმებულ ობლიგაციებისა ნაცვლად 10 მაისს 2,500,000 გირვანქის სახელმწიფო ობლიგაციები იქმნება გამოცემული.

სოფია. განთავისუფლებულ-მეფის ძეგლის საძირკველი მთავარმა პროგრამის თანახმად ჩააყრევინა; საღამოთი ჩირაღდნებითა და მაშხალებით იქმნა სიარული გამართული; და გაიხსენეს ამასთანავე აპრილის აჯანყების სცენები; დასასრულ მთავარს მანიფესტაცია გაუმართეს, რომელმაც საპასუხოდ სიტყვა წარმოსთქვა და გამოსთქვა იმედი, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ ბოლგარელები მუდამ საიმედო ელემენტათ დარჩებიან და მათი ამტანელობა გამარჯვებას ყოველთვის ხელს შეუწყობს. ჩირაღდნებითა და მაშხალებით შემდეგ რუსეთის სადიპლომატო სააგენტოსაკენ გასწიეს. ბახმეტიევმა მანიფესტაციისათვის მადლობა გადაუხადა. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, თუ რომ მხედველობაში არ ვიქონიებთ იმასა, რომ საპატიმროს წინ, სადაც სარაფოვი ზის, დემონსტრაცია მოახდინეს.

სტანდერტონი. 22 აპრილს აქედგან ბრიტანიის ჯარის რამდენიმე წყება წავიდა, რომ პლატრანდიდგან გამოსულს ჯარს შეერთებოდა. გზაზედ ბურების მხრივ სროლა არ შეწყვეტილა. პლატრანდიდგან გამოსული ჯარი იმავე ღამეს ველტერფრედენამდე მივიდა; მტერმა მცირედი წინააღმდეგობა გაუწია მეორე დღეს პოლკოვნიკის კელვილის ჯარის კაცნი უიტკინთან. ბურებს მოულოდნელად თავს დაესხნენ და სამი დაჭრილი ბური ტყვეთ წაიყვანეს. დავლათ დაჰრჩათ: ოთხი ურემი, 13 ცხენი, 500 სული საქონელი და საომარი სამზადისი. ბურუსისა და ჯანყისა გამო მტერს უკან ვერ გამოედევნენ. კელვილის ჯარი აქედგან შემდეგ სამხრეთისაკენ წავიდა და აქაც ბურების მეორე ბანაკს დაესხნენ თავს; წინააღმდეგობა არ გაუწევიათ; მაქსიმისა და ნორდენფილდისა ზარბაზანი და რამდენიმე ურემი სურსათით ინგლისელებს [illegible] ამავე დროს პლატრანდის ჯარი ვალისაკენ მიდიოდა. 22 აპრილს ინგლისელთა დამზვერავს ჯარს მხნე თავს დაესხნენ, მაგრამ ინგლისელებმა სიმაგრე შეინარჩუნეს. ინგლისელებს სამი მოუკლეს, ორი დაუჭრეს. დაბოლოს მტერი განდევნილ იქმნა.

როგორც ბურების ცნობებიდგანა სჩანს, 250 კაცისაგან შემდგარი ბრიცის რაზმი ქრისტეანე ბოტას რაზმს შეერთებია, რომელსაც 350 კაცი ჰყავს და ორი ზარბაზანი აქვს. შეერთებული ჯარი ეხლა ვეტროკფონტეინთანა დგას აღმოსავლეთით. პოლკოვნიკს ბულლოკს გუშინ ამ ჯართან ბრძოლა ჰქონდა, რომლის შესახებაც ჯერ ცნობა არ არის მიღებული.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. უილიამ რედმონდმა იკითხა: მიიღო რაიმე ცნობა მთავრობამ, რომ ჩინეთში გერმანიის ჯარმა ბრიტანიის ნავს მართლა სროლა დაუწყოო? კრანბორნმა უპასუხა, რომ მთავრობას ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მიუღია. რედმონდმა იკითხა შემდეგ: მართალია, ის, რომ ჩინეთის მთავრობამ მანჯურიის შესახებ სახელმწიფოთ ნოტით მიმართა და თუ მართალია, ამ ნოტაში იგი რას ამბობდაო? კრანბორნმა უპასუხა, რომ მთავრობას ამ ბოლოს დროს არავითარი ნოტა ასეთი არ მიუღია ჩინეთისაგან. ბლეკი დაეკითხა მთავრობას: ახლა ხომ ისევ დაიწყეს ოქროს მოპოვება ტრანსვაალში, გვაცნობეთ, მთავრობა ამ ოქროს გარდასახადს აწერს თუ არაო? ჩემბერლენმა უპასუხა ამაზედ, რომ მაღნები ძველს გარდასახადს გაიღებენ იმ დრომდე, სანამ ახალს შეაწერდნენ. ბროდრიკმა განაცხადა: რამდენისამე დღის წინად კიტჩენერისაგან ცნობა მივიღე, რომ ყველა თავისუფალი მეომრები, რომლებიც-კი სხვა-და-სხვა რაზმებში იყვნენ ჩანერილნი, ამ ჟამად კაპშტადტის გზაზედ არიან და აქედგან გემებში ჩასხამენ, რომ ინგლისში გაისტუმრონ. როგორც ბოლონდელ ცნობიდგანა სჩანს, კიტჩენერის ჯარები ამ ჟამად იმ მდგომარეობაში არიან, რომ იგი ნამდვილად იმედოვნებს მალე დანარჩენს თავისუფალ მეომრებსაც გაანთავისუფლებს, რომლებიც იომანრების სულ პირვანდელს კორპუსს ეკუთვნიან და, მაშასადამე, დასვენებაში დიდადა ჰსაჭიროებენ. მაგრამ იმისი თქმა-კი არ შემიძლიან, თუ სამსახურიდგან დანამდვილებით როდის იქმნებიან განთავისუფლებულნიო.

ნიუ-იორკი. როგორც ბერმუდის კუნძულებიდგან იუწყებიან დეპეშით, 17 აპრილს ამ კუნძულზედ მრავალი ბური გაუგზავნიათ.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა გენერალს კაულბარსს ჩინელების წინააღმდეგ გამარჯვებისათვის ალექსანდრე ნეველის ორდენი უწყალობა მახვილითურთ.

◆

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Апрѣля 1901 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.